საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7010/01
06/07/2021

7010-01-2-202107061427

შპს „მ გრუპი“
მის: ქ. თერჯოლა, ვაჟა-ფშაველას შეს. I, №29
ელ. ფოსტა: magdadolakidze@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 17 ივნისის N10693 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თერჯოლაში, მდ. ჩოლაბურის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს წარმადობა იქნება 35 $მ^3$/სთ, ხოლო სამუშაო რეჟიმის (წელიწადში 240 დღე, 8 საათიანი გრაფიკი) გათვალისწინებით წლიური წარმადობა შეადგენს 67200 ტონას. მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით საწარმოს წლიური წარმადობა არა 67200 ტონა, არამედ 67200 $მ^3$-ია. ამასთან, თავში 6.3 „ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში“ გაფრქვევები გაანგარიშებულია საათში 35 ტ წარმადობის მიხედვით. შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას და კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი წყალაღების წერტილის GPS კოორდინატი (X-330519, Y-466868) საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადება სამინისტროში წარმოდგენილია საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, ამასთან თანდართული ფოტომასალით (სურათი 2.3 ტერიტორიის ზოგადი ხედები) დგინდება, რომ საწარმოში უკვე განლაგებულია მანქანა-დანადგარი. სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესაბამისად და დაგეგმილი სამუშაოების გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, წყლის აღება მოხდება მდ. ჩოლაბურიდან ტუმბოს მეშვეობით და მეტალის მილით მიეწოდება სამტვრეველასა და კლასიფიკატორებს. დაზუსტებას საჭიროებს მილის პარამეტრები (სიგრძე, დიამეტრი), მისი განთავსების სქემა (მათ შორის განთავსდება მიწის ზედაპირზე

თუ მიწისქვეშ). გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს ტუმბოს შესახებ ინფორმაცია (ტექნიკური პარამეტრები), მათ შორის რა რესურსის გამოყენებაა საჭირო ტუმბოს მუშაობისთვის (ელექტროენერგია თუ სხვა);

- სკრინინგის განცხადებაში, თავში „3.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე“ აღნიშნულია, რომ მზა პროდუქციის საწარმოდან გატანისთვის დღის განმავლობაში მოსალოდნელია მაქსიმუმ 10-12 სატრანსპორტო ოპერაცია, ამასთან თავში „3.8. კუმულაციური ზემოქმედება“ მითითებულია, რომ სატრანსპორტო ნაკადს შეიძლება დღეში დაემატოს მაქსიმუმ 5-6 სატრანსპორტო ოპერაცია. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ნედლეულის შემოზიდვისა და მზა პროდუქციის გასატანად რამდენი სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებაა დაგეგმილი.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე